საქართ. მუშარცხენა სოც.-ფედერალისტთა სამეცნიერო პარტია

ბიბლიოთეკა (სტამპი)

# ტრიბუნა

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა“ თვიურად ღირს 45,000 მ. სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე 150,000 მ.; უკანასკნელზე 100,000 მ. კანტორა ღიაა დილის 8—2 ს. რედაქტორის ნახვა შეიძლება მხოლოდ 11—12 საათამდე. რედაქციის მისამართი—ტფილისი დამფუძნებელი კრების ქ. № 6, ფოსტის ყუთი № 190, ტელეფონი 12—29.

ფასი 7000 მან.

ხუთშაბათი იანვრის 26

1922 წ.

სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭო ამით აუწყებს ქართველ საზოგადოებას, რომ იანვრის 19-ს სოფელ ხელთუბანში (გორის მაზრა) ვერაგულად მოკლულ იქნა მწერალი

## თედო რაზიკაშვილი,

პანაშვიდი დანიშნულია ქვაშვეთის ტაძარში კვირას იანვრის 29, დღის 12 საათზე.

დაიბეჭდა და იყიდება

ლექსების მეორე ტომი

## ი. გრიშაშვილი

იყიდება:
ქ. შ. წ. მაღაზიაში.
განათლების კანტორაში.
სტუდენტთა კოო-ში.

დრამის სტუდენტის დღე პატარა თეატრი

იანვრის 26-ს

ქართველ სტუდენტთა ტრადიციული დღის აღსანიშნავად გაიმართება

დიდი

## საზეიმო საღამო

I

სიტყვა—პროფ. შ. ნუცუბიძე.

II

### საკონცერტო განყოფილება.

1. სტაროსტინა.
2. ბოკოვა.
3. ზალიპსკი.
4. ინაშვილი.
5. გ. შარაშიძე.
6. ერმოლოვი.

III

### ბალეტი

მ. მორდკინი.
პოლიცკაია.
სემიონოვა.

IV

### გოგათა ხორო.

ცეკვა, გამშამი-კაბარე.
ხიმებიანი ორკესტრი.
რიოიდლით პროზოროვსკი და ფედოროვი.

საღამოს დიასახლისნი: მ. მ. ფრონზონი. | პასუხისმგებელი გამგენი:
თ. კიკალეიშვილი | დ. კანდელაკი.
თუთბერიძისა, | ხაშა გეგეჭკორი.
ცინცაძისა.

საღამოს დასაწყისი სრულ 8 საათზე.

ასეთივე საღამო იმართება იანვრის 26-ს სტუდენტთა სასადილოში. იანვრის 26 გამოვა აგრეთვე გაზეთი „სტუდენტის დღე“.

ლი. წვრილმანი დაბრკოლებანი, რომელთაც დღეს სამწუხაროდ ბლომად აქვს ადგილი ჩვენს ცხოვრებაში, არავითარ სერიოზულ ხიფათს არ წარმოადგენს. მრავალი გაუგებრობა გაიფანტება, ზოგ კუზიანს სამარეც გაასწორებს და ერის ცხოვრება თავის კალაპოტში ჩადგება.

ამ საქმეშიაც ქართულ უნივერსიტეტს დიდი როლის შესრულება შეუძლია. ჩვენ სრული იმედი გვაქვს, რომ ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მისი პროფესურა და სტუდენტობა, არ დარჩება უმადური დიდი რევოლუციისა და საქართველოს მშრომელ ხალხთან ერთად თავს არ დაზოგავს ახალი ცხოვრების გამტკიცების და ახალი ქვეყნის აშენებისათვის.

თემქა.

## 1918—26 იანვარი

26 იანვარი ქართველ ერის ცხოვრებაში დიდათ მნიშვნელოვანი დღეა. ამ დღეს პირველად გაიღო კარი საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტის. ამ დღიდან საქართველოში მშობლიურ ნიადაგზე აღმოცენებულ მეცნიერების ტაძარს დაეწაფა ჩვენი ახალგაზრდობა.

4 წელიწადი სულ მცირე ხანია უნივერსიტეტის აღმშენებლობაში, მის ცხოვრებაში საერთოდ. მაგრამ ამ წარსულ ოთხი წლის ნამოქმედარი უნივერსიტეტის ირგვლივ ფრიად დიდია, ფრიად მნიშვნელოვანია. ჩვენ დღეს გვაქვს სავსებით ჩამოყალიბებული მეცნიერების ტაძარი ყველა განყოფილებებით, კარგ შემადგენლობით. მეცნიერთა კრებული, რომელმაც თავი მოიყარა უნივერსიტეტში, ძვირფასია. და სწორედ ეს უკანასკნელი მომენტი, რაც აუცილებლად დამახასიათებელია უნივერსიტეტის ცხოვრებაში, აღსანიშნავია, ვინაიდან ამ მეცნიერულ ძალთა შეკრებამ მოგვცა ოთხი წლის განმავლობაში ის, რაც შეუძლებელია ხოლმე რამოდენიმე ათეულ წლების განმავლობაში.

საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტს ყავს ისეთი მეცნიერები, რომლითაც იამაყებდა ცნობილი ძველი უნივერსიტეტებიც.

ძვირფასი სახელები: ჯავახიშვილი, მელიქიშვილი და სხვა. მართლაც რომ ამშვენებენ ჩვენს ნორჩ მეცნიერების ტაძარს.

ეს გვაძლევს იმედს, რომ საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტი სულ მცირე ხანში დაიჭერს საუკეთესო ადგილს სხვა უნივერსიტეტთა შორის. ამის ნიშნები უეჭველად არის, ამას მოწმობს წარსული 4 წელიწადი.

1918 წლის 26 იანვარი ეს ისტორიული დღეა ქართველთ ცხოვრებაში, ვინაიდან ამ დღეს ჩაეყარა საძირკველი საქართველოს სიახლეს, საქართველოს მომავალს.

ის ახალგაზრდობაც—სტუდენტობაც: ქალნი და ვაჟნი, რომელიც ათასობით თავს იყრის თავის დედა-უნივერსიტეტში, ის ხომ საუკეთესო საძირკველია თავის მხრივ ამ უნივერსიტეტის აღორძინებაში- ახალგაზრდობა არის იმედი ნორჩ მეცნიერების, იმედი მთელი საქართველოსი.

მართალია ახალგაზრდობა ჩვენს უნივერსიტეტში ჯერ კიდევ ჰეტეროგენული ელემენტია, მაგრამ ტრადიცია ამა თუ იმ წრეში თანდათანობით იქმნება, თანდათანობით ყალიბდება და აქაც იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ეს ტრადიცია ქართველ სტუდენტობაში დროთა სვლაში მოგვცემს თავის ნორჩ, არა ჩვეულებრივ, ახალ ფორმებს.

დღევანდელი რევოლუციონური ხანაც ამის მაჩვენებელია. ჯერ კიდევ არ არის სავსებით გამორკვეული ახალგაზრდობა, რომელზედაც ერთგვარი დიდი დაასო მაოფელიო მოძრაობამ. ახალგაზრდობის უმრავლესობა, რომელიც მუდამ წინ მიუძღოდა მშრომელ ხალხს რევოლუციონურ მსვლელობაში, დღეს ასე გგონია, ჩამორჩა ის ყოველივე სიახლეს. რევოლუციონური მსვლელობა თავის თავად წინ მიიწევს და გაუსწრო კიდეც ჩვენს ახალგაზრდობის მისწრაფებას და ეს მოვლენა, ერთგვარად სასაკვირველია, უკან სწევს ახალგაზრდობას. მაგრამ დარწმუნებული ვართ, ეს დროებითია და ახალგაზრდობა კვლავ თავის ადგილს დაიჭერს და ისევ ბელადათ გაუძღვება ხალხის მისწრაფებას.

ის ახალგაზრდობა, რომელიც იწვრთნება ჩვენს უნივერსიტეტში, აუცილებლათ დაიკავებს და უნდა დაიკავოს კიდევ თავის ერის, მშრომელ ხალხის ცხოვრებაში საუკეთესო ადგილი. ამას მოითხოვს ჩვენი ხალხის ბუნება, ამას მოითხოვს ჩვენი ქვეყნის კარგი მომავალი.

მაშ გაუმარჯოს ჩვენს ნორჩ მეცნიერების ტაძარს—საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტს, გაუმარჯოს ქართველ მეცნიერთ, გაუმარჯოს ჩვენს მოწინავე ახალგაზრდობას.

ხ. ახლაანიშვილი.

## 26 იანვარი

ქართული უნივერსიტეტი ისე, როგორც საქართველოს თავისუფლება, შედეგია რუსეთის დიდი რევოლუციისა.

26 მაისი რევოლუციის მონაპოვარია და 26 იანვარი მისი ლოღიკური შედეგი. ქართული უნივერსიტეტი, როგორც ფუძე მეცნიერებისა და ეროვნული კულტურისა შესაძლებელი გახდა მხოლოდ თავისუფალ საქართველოში.

რამდენი ხანი იბრძოდა მთელი ამიერკავკასია უნივერსიტეტისათვის, მაგრამ ვერ ეღირსა. მეფის მთავრობა არ იმეტებდა ჩვენთვის განათლებას, არამც თუ ეროვნულ ნიადაგზედ, დედა-ენაზედ,—რუსულ ენაზედაც კი. ეს გასაგებია: თვითმპყრობელობა ფეხს იმაგრებდა ხალხის სიბნელით. ხალხის განათლებით გათვითცნობიერება მისი აღსასრული იქნებოდა.

თუ ერს არა ჰყავს მშობლიური ინტელიგენცია, მეცნიერნი და ხელოვანნი, რომელნიც ემსახურებიან და წინ მიაქანებენ ეროვნული კულტურის, როგორც თავისებურ გამოხატულებას საკაცობრიო კულტურისა, ასეთი ერი ადრე თუ გვიან გადაშენდება, ან თავს დაადწევს ასეთ მდგომარეობას და ძალით, თუ ნებით გაიჩენს თავის ინტელიგენციას.

გადაგვარებული ინტელიგენცია ერის გადაგვარების ხელის შემწყობია. ამიტომ ცდილობდა ძველი რუსეთი ჩვენი ინტელიგენციის გადაგვარებას, ქართველი ახალგაზრდობის რუსულად აღზრდას.

რევოლუციამ განვათავისუფლა ამ ველური ძალადობისაგან. ქართველმა ერმა თავისუფლად ამოისუნთქა და მიუხედავად მრავალი გაჭირვებისა შეება იგრძნო, ქართველი მშრომელი ხალხი აღტაცებით შეუდგა აღმშენებლობას, ეგონა რომ თავის საქმეს აკეთებდა, მაგრამ მენშევიკების შეცდომებმა საქართველო ააცდინა სწორ გზას. სავსებით ჩამოაშორა რევოლუციას, დაუკავშირა ანტანტას და ამით დაუპირისპირა ის პირველს, ე. ი. დიდ რევოლუციას. ეს იყო საბედისწერო შეცდომა და დიდხანს ვერ გაგრძელდებოდა.

დღეს საქართველო ისევ რევოლუციის მხარეზეა. მის მომავალს, მის განვითარებას გზა ფართოდ აქვს გაშლი-

## ებგური სწავლისა

ქართველი ხალხის სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის ნიჭი ისე ძლიერ არაოდეს გაფურჩქვნილა, როგორც XII საუკუნეში, როცა საქართველოს სახელმწიფოს განაგებდა დავით III გიორგის ძე ამ ნიჭის გაფურჩქვნას ხელს უწყობდა თვით დავით, რომელიც იყო ბუნებით ნიჭიერი, ცოდნით მდიდარი და იმ დროისვე კალმოსანიც.

მემკვიდრეობის დროს, რაკი ჰხედავდა მამის სისუსტეს, როგორც მმართველისას და ფეოდალთა გალაღებას, რომელიც ემუქრებოდა ერთ-ხელმწიფებას, მის გამტკიცებას, შეთქმულობა მოახდინა თავის თანამგრძნობლებთან ერთად მამის გადასაყენებლად. ამ ნაირად მამა იძულებული იყო ბერად შემდგარიყო. ხოლო თვითონ ხელთ იპყრა საჭე სახელმწიფო საქმეთა მართვა-გამგეობისა. გადაყენებული მამა მოესწრო შემბოჭველ ვაჟის შეთქმულობის კეთილ ნაყოფსა, ხოლო დავითს მადლიერმა ქართველობამ უწოდა სახელი აღმაშენებლისა.

დღეს, იანვრის ოცდაექვსს, რომელიც დღე არის საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსებისა, დავით აღმაშენებელსაც ვახსენებთ, რადგანაც ეს ბრძენი მეფეც იბერიისა ისწრაფოდა ქართველი ხალხიც ისე, ვითვე მაღლა განათლებული ყოფილიყო, როგორც თვითონ იყო. მისი საკულტურო მოღვაწეობა ქართველი ხალხის გასანათლებლად პირდაპირ საკვირველია, რომ არ ვახსენოთ მისი ბრძნული სამხედრო მოღვაწეობა და საშინაო პოლიტიკა, რასაც ადასტურებენ როგორც ქართველი, ისე უცხო ტომელი მწერლები იმერეთის გელათის ლავრაში თავი მოუყარა მაშინდელ შესანიშნავ ქართველობას. მათ შორის იყო შავთითა მოსული პოეტი იოანე შავთელიც, რომელიც გელათს უწოდებს ელადსა, და რომლისაც აბდულ მესია ხოტბისთვის ლექსი უქია, ნათქვამია, დავით აღმაშენებელმა გელათი ჰყო ხასწავლად ყოვლისა კეთილისა, მოძღვრად სწავლულებისად, ხსვად ათინად, ფრიად უფროს მისსა. (იხ. ქართველი ერის ისტორია ივ. ჯავახიშვილისა II წიგნი, გვ. 537). მეცენატობას არ აკლებდა მგოსნებს არაბთა სუფიებსა და პოეტებს, რომელთაც ხშირად ქონებრივადაც ეხმარებოდა და სადღესასწაულო მეჯლისებსაც უმართავდა (გვ. 538). კახეთს იყალთოს მის დროსვე არსენ იყალთოელის მიერ დაარსებულ იქმნა უმაღლესი სკოლა.

მი როგორ ამ ! ითიებს იოანე შავთელი დავით აღმაშენებელსა:

სიბრძნის ასირად,
სწავლისა სირად
გარეთ მოგეთხზნეს
რიტორთ ბადენი.

—

სწავლის მოძღვარი,
საშვებლის ღვარი,
სიწმინდისაა
ცხოვრების თვალი

—

ექმენ ედილად
ყრმათა ე დილად,
განმბანელ შვილთა
ემბაზისათა.

—

თვალი ხარ ბრმათა,
თვით მზრდელი ყრმათა,
მშიერთა პური,
უსახლთ სართული.

—

მამა ობოლთა,
მსაჯული ქვრივთა,
შიშველთ სამოსლად
მონიჭებული.

—

მოხუცებულთა
შრომით რებულთა
სიმტკიცის კვერთხად
მისაყრდნობელი.

—

მოგვფენ სიბრძნესა,
წვრილთ სილხმესა,
თვით განგვიმარტებ
მადლთა მთხრობელი.

—

მისგან ვითხოვთ
—არ თუ ვიხოვთ—,
რათა სცეს სწავლა
თბესა მცოობარისა.

—

ღაგოს ახლად
სწავლის თან სახლად—
ასურვა ენა
მისი მსმენელთა.

დავით აღმაშენებლის საქმენი, რაც ისტორიას უწყერია, დამადასტურებელია ზემო ხსენებული დახასიათებისა, ხოლო თვით პოეტი განუშორებლივ თანამხლებელი ყოფილა დავითის ომში, თუ შინ და მისთვის უწოდებია ებგური (დარაჯი) სწავლისა.

ქართველი სტუდენტობა დღეს ჰზეიმობს თავისი უნივერსიტეტის დაარსების მეოთხე წლის თავის დღესასწაულს, მაგრამ არ უნდა დაივიწყოს ამ დავით აღმაშენებლობის დღესაც, რომ იგი მოვალეა მშრომელი ხალხის განათლების საქმეს დარაჯად უდგეს და მის მუშაკთ პატივს სცემდეს ეროვნების განურჩევლად, რის მაგალითსაც გვაძლევს დავით აღმაშენებელი, რომელსაც ტფილისიდან არაბთა განძევების შემდეგაც არ დაუკლია პატივისცემა მათი სულიერებისა და პოეტებისთვის, მარად ახსოვდეს, რომ უმეცრებას მუსრს ავლებს მცოდნე ხალხის სწავლა და ხელოვნება და რომ სწავლის მიღებას მისთვის მიზნად უნდა ჰქონდეს მაღალი იდეალებისთვის სამსახური. ასეთი მცნება დაუდო მას ასასრულებლად შოთა რუსთველმა, როცა ავთანდილის პირით სთქვა:

მით გ ხწავეჰით, მოგვცეს
შერთვა შენთ მწყობრთა წყობისა. ა
უამისოდ ფილოსოფოსთ ცოდნ
ურგებია.

პეტრე მირიანაშვილი.

## 26 იანვარი

26 იანვარი ღირსშესანიშნავია ჩვენი სახელმწიფოებრივი ცხოვრებისათვის. 26 იანვარი ქართული კულტურის დღესასწაულია, ქართული უნივერსიტეტის დღეა. უნივერსიტეტი ფოკუსია ერის კულტურული ძლიერების. თქვენ შეგიძლიათ თვეების განმავლობაში წერათ კითხვა შეასწავლოთ ხალხს, მაგრამ ეს ბევრს ვერას გვეუბნება ამავე ხალხის კულტურონობის შესახებ.

საქართველომ თუ მოაღწია მე 20 საუკუნემდე, როდესაც მან ველური ურდოები ესხმოდა თავს სისტემატიურად, ეს მხოლოდ ქართველი ხალხის კულტურით შეიძლება აიხსნას. მან გადაიტანა გადაგვარების ოპერაციები, მაგრამ ამ მოვლენას მაინც არ დაემორჩილა. პროფ. ნ. კიმარი გვეუბნება, რომ ქართული ენა არასოდეს არ განდევნილა ხმარებიდან, მაშინაც კი, როდესაც საქართველო დამონებული იყო პოლიტიკურად მუსულმანების, მონგოლების, სპარსელებისა და ოსმალების მიერ. მაგრამ მე-19 საუკუნის მეორე ნახევრისა და მე-20 საუკუნის დასაწყისში საქართველოს „განათლება" იწყება, რომელიც იმავე პროფესორის აზრით არა თუ უნაყოფო, არამედ პირდაპირ დამღუპველი იყო იგი ქართველი ხალხის განათლებისა. მისწრაფება ქართველი ხალხისა სწავლა-განათლებისადმი ყოველთვის დიდი ყოფილა. გადაავლეთ თვალი ჩვენს საეკლესიო და საერო მწერლობას, მოიგონეთ დავით-თამარის „ოქროს ხანა", როდესაც ჩვენი ეროვნული კულტურა ყვაოდა და იქმნებოდა ეროვნული ფილოსოფია, მეცნიერება, პოეზია და ხელოვნება. ნუ დაივიწყებთ ჩახრუხაძეს, რუსთველს, XI საუკუნის ნეოპლატონიკებს, ქირქიმელ — პეტრიწის, იოანე ტარიჭიძეს, საბა სინგელს, არსენ იყალთოელს, ეფრემ მცირეს და სხვა და სხვას.

გადახედეთ ჩვენი მწიგნობრობის „ვერცხლის ხანას" და თქვენ დაინახავთ, თუ რაოდენი ენერგია დაუხარჯავს განაწამებ ქართველ ხალხს კულტურული ცხოვრების აყვავებისათვის და რაოდენი ძსხვერპლი მიუტანია კულტურის სადიდებლად.

ყოველივე ეს ასე იყო, მაგრამ ჩვენ თურმე მაინც „ღირსი" არ ვიყავით უმაღლესი სასწავლებლისა, რომლის ნებას არ გვაძლევდა ბარბაროსული რეჟიმი ცარიზმისა. ქართული უნივერსიტეტის დაარსება მაშინ ოცნებად მხოლოდ, როდესაც ძირმომპალი წყობილება უკვე სამარეში ჩაეშვა. დღეს კი ჩვენ გვაქვს მეცნიერების ტაძარი. ქართველი ხალხის ინტელექტის ლაბორატორია, ქართული უნივერსიტეტი...

უნივერსიტეტის მნიშვნელობა ჩვენი ქვეყნისათვის განსაკუთრებულია. მისი წარმატება ქართველი ხალხის კეთილდღეობის წარმატებაა, მისი აყვავება საქართველოს აყვავებაა.

ჩვენი ქვეყანა ბუნებრივი სიმდიდრით უხვად არის დაჯილდოვებული. ყოველგვარი მრეწველობისათვის იძლევა იგი მდიდარ მასალას. საქართველოს უღრანი ტყეები, ქვანახშირი, მარგანეცი, თამბაქო, სამკურნალო წყლები და სხვა და სხ. საუკეთესო გარანტიაა წარმოებისა აღორძინებისათვის.

აუარებელი სიმდიდრე არის ჩვენს გარშემო, რომელიც ვერ მოგვიხმარია ქვეყნის აყვავებისათვის, ვერ გამოგვიყენებია მისი აღორძინებისათვის. ყოველივეს მოვლა-პატრონობა უნდა, ყოველივე ჩვენს უნარსა და ნიჭს თხოულობს. ოცნებაა იმაზე ფიქრი, რომ რომელიმე პოლიტიკური ძალა, რომელიმე წყობილება მოახდენს იმ ბუნებრივ ძალთა უტილიზაციას, რაც საქართველოს ეკონომიკის აღდგენასა და აღორძინებას შესძლებს.

გარდა ბუნებრივი სიმდიდრისა ჩვენი გეოგრაფიული მდებარეობა ქმნის საუკეთესო პირობას ქვეყნის აღორძინებისათვის. მსოფლიოს უდიდესი გზები ჩვენს ტერიტორიაზედ იყრის თავს და აზიისა და ევროპის კლიტე ჩვენს ხელშია. ჩვენ შეგვიძლია გავხდეთ წინა აზიის ვაჭრობის უდიდეს ცენტრად. ტფილისი შეიძლება იქნეს მთელი აღმოსავლეთის და დასავლეთის შუამავლის ფოკუსი. ვენეციაც ხომ აღმოსავლეთთან ვაჭრობით გამდიდრდა საშუალო საუკუნოებში. ინგლისის ვაჭრობაც ხომ დაბლა იდგა ფლამანდრიისა და იტალიის ვაჭრობაზედ და მხოლოდ შემდეგ, ელისაბედის მეფობიდან, (რეფორმაციის შემდეგ) იწყება ინდოეთისაკენ ახალი გზებით სვლა და ამერიკის აღმოჩენის წყალობით მისი ვაჭრობის განვითარება.

საქართველოსათვის საუკეთესო პირობებია ეკონომიური აყვავებისათვის. ჩვენი ფიზიკური სიმცირე არ არის მოსაკვდინებელი ამ მხრივ. ინგლისელები 47 მილიონიანი ხალხია, რომელიც ფლობს 400 მილიონზე მეტ ხალხს, პატარა იაპონია „ბატონია" 400 მილ. ჩინეთის ხალხისა. ჩვენ კოლონიალური პოლიტიკის პრეტენზიას არ ვაცხადებთ და არც შედის იგი ჩვენი მუშაობის გეგმაში, მაგრამ ერთს კი კატეგორიულად ვამბობთ—ქართველ ხალხს თავისი საკუთარი ხელით შეუძლია საქართველოს ეკონომიკის აყვავება, მისი უმაღლეს წერტილამდე აყვანა. მაგრამ სად არის ეს „ხელი"? ვის შესძლებს საქართველოს ეკონომიურათ აღდგენას? ვინ არის საქართველოს მომავლის პატრონი?

პასუხი ერთია—ქართველი სტუდენტობა.

ქართველი სტუდენტობის ხელი უნდა შეეხოს იმ საღარის, რომელიც დღეს უქმად არის „ცხრა კლიტულში" შენახული და დაფარული. ქართველი სტუდენტობის ხელი უნდა იქნეს ის ძალა, რომელიც ქართველ მუშის მარჯვენასთან ერთად შესძლებს ჩვენი ქვეყნის წარმატებას ყოველ მხრივ და ყოველ დარგში.

ვერ ვიტყვით, რომ დღეს საუკეთესო პირობები იყოს აკადემიური მუშაობისათვის. ვერც იმას ვიტყვით, რომ ჩვენი უნივერსიტეტი უზრუნველ ყოფილი იყოს ყოველი მხრით. არა თუ ჩვენს ქვეყანაში, სადაც ეხლა აიდგა ფეხი უმაღლესმა სწავლამ, არამედ დაწინაურებულ ქვეყნებშიაც კი, სწავლა-აღზრდის საქმე რიგზედ ვერ არის დღეს. ეს მოვლენა ადვილი გასაგებია. დღეს ბრძოლის არენათ არის გამხდარი „კულტურული კაცობრიობა", ამიტომ უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს ზარბაზანთა ხარისხის ამაღლებას, მხრჩოლავი გაზის გაუმჯობესებას, ვიდრე კანტის კატეგორიულ იმპერატივებს, ნიუტონის კანონებს, მეცნიერულ კვლევა-ძიებას. ყოველივე ეს გასაგებია იმ დროს, როდესაც მთელი სრულიად საწინააღმდეგო სამყარონი ერთმანეთს ებრძვიან და რეაქცია-რევოლუციის ძალთა დაპირისპირება ხდება მთავარი მომენტი ყურადღებისა, როგორც ამ მოძრაობის ხელმძღვანელთათვის, ისე მთელი მსოფლიოსათვისაც. ამ საერთო ორომტრიალში საუნივერსიტეტო მუშაობაზედ ნაკლებად ფიქრობს როგორც სახელმწიფოს მესვეურნი, ისე თვის მთელი ცხოვრების დინამიკა. სწავლა სასხვათაშორისო საქმედ არის ჩათვლილი და უელსის მოწმობით თუ ნორმალურ დროს კემბრიჯის უნივერსიტეტი ირიცხავდა 4,000 სტუდენტს, დღეს იგი ირიცხავს არა უმეტეს 400 სტუდენტს. უნივერსიტეტში დარჩნენ უმთავრესად ქალები, სამხედრო სამსახურისათვის უვარგისნი და მდედლები. კემბრიჯი შეგვიძლია მივიჩნიოთ არა გამონაკლისად, არამედ მაგალითად მთელი საუნივერსიტეტო ცხოვრებისა და აქედან ნათელი ხდება ის გარემოება, თუ რამდენათ დაშლილია სწავლა—აღზრდის საქმე „გამარჯვებულსა" და „მძლეთა-მძლე" ინგლისშიაც კი.

მაგრამ ჩვენი ქვეყანა გაცილებით მეტად მოითხოვს საუნივერსიტეტო მუშაობის ნორმალობას, ვიდრე ინგლისი და სხვა დაწინაურებული ქვეყნები. ჩვენი სასიცოცხლო ინტერესები მოითხოვს სამეურნეო მუშაკთა კადრის შექმნას ქვეყნის ეკონომიური მოთხოვნილების მესვეურთა მომზადებას. ამას რევოლუციის ინტერესიც მოითხოვს. რუსეთით დაწყებული რევოლუცია არ არის პოლიტიკური რევოლუცია, რომელსაც სწრაფად შეასრულებდა „წითელი გენერლები", იგი სოციალური რევოლუციაა, რომლის განვითარება წლობითა და ათეულ წლობით შეიძლება გაგრძელდეს და კაპიტალიზმის ლიკვიდაციის პროცესში დიდხნობით გასტანოს, ისე როგორც დიდხნობით გასტანა ფეოდალიზმის ლიკვიდაციის პროცესმა. ყოველივე ეს მოითხოვს არა მარტო წითელ გენერლებს, წითელ კომანდრებს და სხ. არამედ წითელ ეკონომისტებს, წითელ ინჟინრებს, წითელ აგრონომებს და სხ.

მაგრამ ბევრს ჰგონია, რომ ქართველი სტუდენტობა არ არის „წითელი" თავისი მდგომარეობითა და შეგნებით და ამიტომ იგი არ გამოდგება აქტიურ ელემენტად ახალ სოციალურ ფორმაციის პროცესში.

ეს დიდი შეცდომაა.

(დასასრული იქნება.)

ხერ. ამაღლობელი.

## პატარა ფელეტონი

### „შილლერის ესტეტიკა"

(აბრამიშვილის მოხსენება)

„ესტეტიკა შილლერის" ყველამ იცის - ძველია,
მაგრამ მისი გაგება თურმე ერთობ ძნელია.
ხელოვნების „ტაძარში" არ ვყოფილვარ წინადა
(თუმცა ყოფნა იმ დღესაც არ მხდომოდა წილადა)
გამოვიდა ლექტორი ინგლისური შინელში
აზრი ბევრი ეძია ხან კანტში, ხან შილლერში,
ესტეტიკას შეეხო, როგორც თემის საგანი,
მაგრამ აზრის არ სჩანდა არც სიგრძე და არც განი.
მარჯვნივ უჯდა გრიგოლი, მარცხნივ ჩვენი ტიციან
(შნო ჭამის და დაჯდომის მგოსნებმა კი იციან).
შემოვიდა გიონი საგანელი—მგოსანი,
იქვე „სკამში" მოთავსდა ვით ხაფხულის სოსანი.
ხალხი ბევრი მოგროვდა (ქართველები, ცხადია)
ალბათ გერმანიაში ყოფნა ბევრსა სწადია.
ჩვენი ფიქრი, ოცნება გადავტყორცნეთ გერმანეთს
და ამ შთაბეჭდილებით უყურებდით ერთმანეთს.
მეცნიერულ სიდინჯით, წინ ვიჯექი ვით ბრძენი
(თუმც ძველ ესტეტიკაში თავი სუსტად ვიგრძენი)
მოხსენება გათავდა. გვიხმეს საკამათოდა,
ვითომ აღარ იცოდნენ, რომ შილლერი და შოთა
ჩვენთვის ორნი ერთია—მწევნი ერთი უდლისა
(ნეტა გრიგოლს რად ჰსურდა თესვა ეგზომ შუღლისა)
და კამათზე ამიტომ ვარი განვაცხადევით
(ტიციანი ცხვირს სწევდა, ხან დაბლა და ხან ზევით).
მოხსენება ამ რიგად უხმოდ დავადასტურეთ,
თუმცა მძინარ გონებას აზრი ვეღარ ვასხურეთ.
და მთელ ღამეს მის შემდეგ გული ჩემი მღეროდა
„ვიყავ ძვირფას შილლერით, დავრჩი უშილლეროთა".

ტრა . . . დიცია.

## ქართველი სტუდენტობა მოსკოვში

როგორც ქართველობა საზოგადოდ, ისე ქართველი სტუდენტობა მოსკოვში მეტად მცირეა. ძველი ტიპები თითქმის იშვიათი სანახავია, ხედავთ უმთავრესად ახალ ძალებს, რომელნიც გადატრიალების შემდეგ დაკავშირებით მოსკოვს.

მოსკოვის კულტურულ ცხოვრებას ძირითადი გადახალისების ნიშანი აზის. ყოველივე ძველი და მისი კვალი, ხასიათი და შინაარსი წაშლილია. სისტემა, მეთოდი, წესი ყოფა-ქცევისა სპეციალ ნორმების ჩარჩოშია მომწყვდეული, სადაც გამქრალია დილეტანტიზმი და გერმანული სპეციფიკაციის და სპეციალობის მანია გამეფებული.

ეს სჩანს საუნივერსიტეტო ცხოვრებაშიაც. ძველი უნივერსიტეტი ისტორიის არქივს ჩააბარეს, ახალ ეპოქას ახალი კულტურა მოუწყვეს. საექიმო კურსები, პროფესიონალ კავშირების კურსები, მუშათა ფაკულტეტი, სამხედრო აკადემია, სვერდლოვის სახელობის უნივერსიტეტი, სახელმწიფო უნივერსიტეტი, საგანგებო კომისიის კურსები, მშრომელთა აღმოსავლეთის უნივერსიტეტი და სხვა და სხვა წარმოადგენენ ლაბორატორიას, სადაც რევოლიუციონური რუსეთი ამზადებს მთელი ქვეყნიერებისათვის რევოლიუციურ აგიტატორების უძვირფასეს მასალას.

პირადად მე ძალიან მაინტერესებდა მშრომელთა აღმოსავლეთის უნივერსიტეტი. ვთხოვე სტუდენტებს აღნუსხულ უნივერსიტეტში თავის მოყრა, სადაც მათ შევპირდი საქართველოს შესახებ მოხსენებასაც.

25 დეკემბერს, როცა ჩემი მოხსენება გაიმართა, თავი მოიყარეს დაახლოვებით ოცდა-ათიოდე ქართველებმა, დანარჩენნი იყვნენ უმთავრესად აღმოსავლეთის ხალხების შვილები. რამდენადმე აქ გამოირკვა, თუ სად რამდენი არიან ქართველი სტუდენტები. სვერდლოვის სახელობის უნივერსიტეტში არიან 7, სამხედრო აკადემიაში—15, საგანგებო კომისიის კურსებზე—6, სახელმწიფო უნივერსიტეტის მუშათა ფაკულტეტებზე—4, საექიმო კურსებზე—2, პროფესიონალ კავშირების კურსებზე—3, აღმოსავლეთის უნივერსიტეტში—18 და სხ.

როგორ ცხოვრობენ სტუდენტები? კულტურულ მუშაობის ინტენსიურად წარმოებისათვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს მატერიალურ მხარეს. ამ მხრივ რუსეთის კომუნისტური მთავრობის მუშაობა საფუძვლიანად განირჩევა ძველი სისტემის სასტუდენტო ცხოვრებიდან, რამდენადაც კი შეიძლება თანამედროვე სიძვირის პირობებში სტუდენტობა სახელმწიფოს ხარჯით უზრუნველყოფილია. საილუსტრაციოთ მე ავიღებ მშრომელთა აღმოსავლეთის უნივერსიტეტის ცხოვრებას, რომელიც უფრო დაახლოვებით შევისწავლე. ისიც უნდა აღვნიშნო, რომ ყოველ უმაღლეს სასწავლებელში ერთგვარი მდგომარეობა არ არის.

პურს ღებულობენ დღეში 3 გირ., აქედან ერთი გირვანქა დამშეულებს გადასცეს, ხოლო 2 გირ. იღებენ თვითონ სტუდენტები. სადილი აქვთ უეჭველად ორკერძიანი, ერთი თავი ხორცი უეჭველად, ვახშმად თევზეული ან ხორცი და ჩაი, დილას ქაში რძით. თვიურად იღებენ ორ-ნახევარ გირვანქა შაქარს, ამას გარდა ორ ნახევარ გირვანქა შაქარს იღებენ კოოპერატივიდან სახელმწიფო ფასად, ესე იგი 1 გირ. 6 ათას მანეთის ანგარიშით, ღებულობენ ძეხვს და სხვა სანოვაგეს. ულუფაში შედის აგრეთვე ასანთი, თუთუნი, ფულად აძლევდა მთავრობა 35 ათასს. სტუდენტობა ფიქრობდა, რომ 1 იანვრიდან ფულად 150 ათას მან. მიიღებს. ტანისამოსის მხრივ—პალტო-შინელი, თბილი პერანგი, „გიმნასტიორკა", 8 ცხვირსახოცი და თეთრეული 2 წყვილი.

უნივერსიტეტთან არსებობს საკუთარი სამკითხველო და სწავლის ყოველი ხელსაწყო, არსებობენ სპეციალი წრეები, რომელნიც იღვწიან მიმდინარე ლიტერატურას. ცოდნა და დაწინაურების მხრივ სტუდენტობა სამ კატეგორიად განიყოფება: სალექტორო, საინსტრუქტორო და სემინარი. სისტემატიურად ხდება ექსკურსიები სპეციალისტ-პროფესორების ხელმძღვანელობით საკულტურო და საწარმოვო დაწესებულებათა შესასწავლად. სხვა წრეთაგან აღვნიშნავთ დრამატიულს, სამხატვროს, სალიტერატუროს და სასპორტსმენოს. სალიტერატურო წრე გამოსცემს ჟურნალს—„წითელი ვარსკვლავი", რომლის ერთი ნომერი ჩამოვიტანე მოსკოვიდან და ინახება „ტრიბუნა"-ს რედაქციაში. გამოცემა ლიტოგრაფიული, ქაღალდს და ყოველ მასალას იძლევა სახელმწიფო. ჟურნალი 36 გვერდიანია და შიგ მოთავსებულია 24 წერილი შემდეგს ენებზე: ფარსულზე, თათრულზე, აზერბეიჯანულზე, ჩინურზე, [illegible]ურზე, ურქულზე, ყირგიზულზე, ქართულზე, სომ[illegible]რზე, [illegible] და სხვა.

უნივერსიტეტში [illegible] ერთის მოდგმათა წარმომადგენელი. [illegible]ონიიდან, ჩინეთიდან, კორეიდან, მ[illegible]ნგოლეთიდან, ავღანიდან, ხივა-ბუხარიდან, ოსმალეთიდან სპარსეთიდან და სხვა და სხვა. ეს უნივერსიტეტი აღმოსავლეთის ნამდვილი მუზეუმია. მოსწავლეთა რიცხვი აღემატება 800 კაცს, ლექტორები სექტორებად არიან დანაწილებულნი და თითქმის ყოველ დიდ ქვეყნის შვილებს ჰყავთ მშობლიურ ენის მასწავლებელნი. სტუდენტობის ასაკი 17—35 წლამდე.

ოჯახიანი სტუდენტობა ცალკე ბინებზეა მოთავსებული, უოჯახონი საერთო ბინაზე. ავადმყოფთ ათავსებენ ცალკე ბინაზე და მათი ულუფა აკადემიურია—რძით, ერბოთი, კვერცხით და სხვა.

პარტიულის მხრივ—70 პროც. კომუნისტური ახალგაზრდობაა, 30 პროც. უპარტიო. მე არ შემხვედრია არც ერთი მენშევიკი და ესერი.

მუშაობა მეტად ინტენსიურია, ყოველ სტუდენტს უეჭველად რაიმე კავშირი აქვთ მუშებთან, დადიან ჯგუფებად კულტურულ სანახაობებზე და საერთოდ არ არის მომენტი ტყვილად დროის დაკარგვისა.

ეს სტუდენტობა ყოველ მხრივ ახალი ქვეყანაა, სერიოზულები, საქმიანი ენერგიულები, საოცარი დისციპლინა სჩანს მათში. მიკვირს, რომ ბოლშევიკებმა მოახერხეს ამ უმაგალითო სასოფლო ორგანიზაციის შექმნა და სრულიად ახალი სხივის შეტანა სტუდენტობის ცხოვრებაში.

თედო ღლონტი.

## ახალი ამბები

— 27 იანვარი უქმეა. შრომის სახალხო კომისარიატის განკარგულებით 27 იანვარი „ნინოობა" ყველასათვის სავალდებულო უქმე დღეა.

— დღეს თეატრებში. ოპერა „რიგოლეტო" რუსთველის თეატრი „იმპერატორის შვილი".

— დღეს ხელოვნების სასახლეში სერგიევის ქუჩა № 13 სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირი გამართავს მორიგ მეათე ლიტერატურულ ხუთშაბათს. მოხსენებას წაიკითხავს ქრისტეფორე რაჭველიშვილი „თეიმურაზ მეფე" დასაწყისი საღამოს ექვს საათზე.

## რ უ ს ე თ ი

მოსკოვი. 19 იანვარი. პეტროგრადში ნევის ძაფის ფაბრიკამ დეკემბერში დაამზადა 33,965 გროსი ძაფი, რაც ფდრის განზრახულ შესრულების 140 პროც. ნევის ჩითის საართავ ფაბრიკის, ყოფილი პალის, წარმოებამ უკანასკნელ ხანებში ძლიერ იმატა. ამ ქამად ფაბრიკაში მუშაობს 12,000 თითისტარი.

მოსკოვი. 19 იანვარი (რადიო). საბჭოთა ტრანსპორტის წინაშე სდგას საპასუხისმგებლო ამოცანა—გადაზიდოს საჩქარო წესით უცხოეთიდან მოსული პური ნავთ-სადგურებიდან რესპუბლიკის შუა გულში 1922 წ. პირველ ნახევარში უცხოეთიდან ჩრდილო დასავლეთის და სამხრეთის ნავთ-სადგურებით მოვა 84500000 ფუთი სურსათი. ეს სურსათი ნაწილდება შემდეგ ნაირად: სასურსათო კომისარიატის სახელზე მოვა—33500000 ფუთი, სხვა და სხვა უწყებებისათვის—14700000 ფ. დამშეულთათვის ამერიკიდგან—30 მილიონი ფუთი. საქველმოქმედო ორგანიზაციებისათვის.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი— მთავარი კომიტეტი

ექიმ
ნ. ა. არუთინოვმა
განაახლა მიღება
სპეციალურად სიფილისი; ტრიპერი და მისი შედეგები; სქესობრივი დაუძლურება. მიღება საღამოს 4—7 საათ. სოლოლაკი. ცეცხლმქრობელი რაზმის უკან. ახალბებუთოვის ქ. № 5.
(Новобебутовская.) 1